სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ჭანტურიას ქ. #14. თბილისი, საქართველო, 0108,
ტელ: +995 32 505 505, ფაქსი: +995 32 999 139
www.vtb.com.ge, info@vtb.com.ge

ოვერდრაფტით სარგებლობის ძირითადი პირობები

1. გამოყენებული ტერმინები

1.1. საბარათე ანგარიში – ბანკში გახსნილი კლიენტის ანგარიში, რომელზეც დაიშვება ოვერდრაფტი და აისახება ბანკის მიერ გაცემული საერთაშორისო საბანკო ბარათით (შემდგომ ბარათი) შესრულებული ოპერაციები.

1.2. ოვერდრაფტის ლიმიტის მოცულობა – თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებში კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ბანკის მიერ დაშვებული ოვერდრაფტით.

1.3. წლიური საპროცენტო განაკვეთი – დგინდება ბანკის მიერ და არის ოვერდრაფტით სარგებლობისთვის დარიცხული პროცენტი, რომელიც იანგარიშება ოვერდრაფტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად 365 კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით.

1.4. დაანგარიშების თარიღი - ყოველი კალენდარული თვის 25 რიცხვი.

1.5. მინიმალური გადასახადი – ოვერდრაფტით სარგებლობისას კლიენტის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, რომელშიც შედის: დაანგარიშების თარიღამდე ათვისებული ოვერდრაფტის[1] 10%, დარიცხულ პროცენტი, ან/და საკომისიო ან/და პირგასამტეხლო.

1.6. გადახდის თარიღი – დაანგარიშების თარიღიდან 27-ე დღის 23:00 საათამდე. თუ გადახდის თარიღი ემთხვევა შაბათ - კვირას, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე დღეებს, გადახდის თარიღი გადაიწევს შემდეგ დღემდე.

1.7. ვადაგადაცილების თარიღი - გადახდის თარიღის მომდევნო დღე.

1.8. ვადაგადაცილებული დავალიანება - კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული წინამდებარე პირობით გათვალისწინებულ ვადებში.

1.9. ბარათის ბლოკირება - კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევისათვის საბარათე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების დროებით შეჩერება (ბარათი თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ - საერთაშორისო სტოპ-სიაში).

2. ოვერდრაფტის დაფარვის წესი

2.1. მინიმალური გადასახადის ყოველთვიურად დაფარვა სავალდებულოა გადახდის თარიღისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

2.2. გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ბარათის ბლოკირება. კლიენტს ეკისრება ბარათის ბლოკირების საკომისიო (ასეთი არსებობის შემთხვევაში). ბარათის გააქტიურება მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრული დაფარვისთანავე.

2.3. გადახდის თარიღიდან 60 დღის განმავლობაში მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ოვერდრაფტი უქმდება. ოვერდრაფტის გაუქმება იწვევს ბანკის მხრიდან წინამდებარე პირობით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტას, რასაც მოყვება ბანკის მოთხოვნა ათვისებული ოვერდრაფტისა და მასზე დარიცხული ყველა გადასახადის დაუყოვნებლივ დაფარვის შესახებ.

2.4. თუ ოვერდრაფტზე არ ვრცელდება საშეღავათო პერიოდისათვის გათვალისწინებული პირობები, მაშინ საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად. თუ ბანკი ცალმხრივად შეწყვეტს ოვერდრაფტით მომსახურებას, ბანკის მიერ პროცენტის დარიცხვა გრძელდება ოვერდრაფტის გაუქმების შემდეგ დარჩენილ დავალიანებაზე.

2.5. ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვისას პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო და საკომისიო თანხები (მათი არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პროცენტი და ბოლოს ოვერდრაფტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.

2.6. კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებაზე, საბარათე ანგარიშზე დავალიანების წარმოქმნისთანავე კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშებიდან კლიენტის დამატებითი აქცეპტის გარეშე ჩამოწეროს წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოქმნილი

[1] ათვისებული ოვერდრაფტი მოიცავს განაღდების საკომისიოსაც

ნებისმიერი სახის დავალიანება შემდეგი რიგითობით: პირგასამტეხლო, საკომისიო, დარიცხული პროცენტი და ოვერდრაფტის ძირითადი თანხა. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით.

3. განსაკუთრებული პირობები

3.1. კლიენტის მიერ დამატებითი ბარათის გაცემის შემთხვევაში დამატებითი ბარათის მფლობელს მიეცემა უფლება ისარგებლოს კლიენტის საბარათე ანგარიშით ამავე ანგარიშზე დაშვებული ოვერდრაფტის ლიმიტის ფარგლებში. დამატებით ბარათზე სრულად ვრცელდება ძირითადი ბარათით მომსახურების წინამდებარე პირობები.

3.2. დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და წარმოქმნილი დავალიანების დაფარვაზე კლიენტი (ძირითადი ბარათის მფლობელი) პასუხს აგებს სრულად.

3.3. ბარათის განახლება მოხდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. ბარათის განუახლებლობის შემთხვევაში ათვისებულ თანხაზე პროცენტის დარიცხვა და არსებული დავალიანების დაფარვა გრძელდება წინამდებარე პირობების შესაბამისად.

3.4. ბანკი და კლიენტი დაიცავენ წინამდებარე პირობების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობის კონფიდენციალობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:

ა) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად.

ბ) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან.

გ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მიუხედავად ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, წინამდებარე პირობების საფუძველზე, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური და/ან ნეგატიური), გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (რეგისტრირებული 14.02.2005 წ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის #06/5-51) მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია შესაძლოა გახდეს საჯარო და ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის. ასევე მოიძიოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია აღნიშნული მონაცემთა ბაზიდან.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. ბანკი უფლებამოსილია:

4.1.1. კლიენტის განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ოვერდრაფტის ვადის გაგრძელების, ოვერდრაფტის ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.

4.1.2. კლიენტის საბარათე ანგარიშზე ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაცია, თუ კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარად.

4.1.3. მოსთხოვოს კლიენტს ოვერდრაფტის უზრუნველყოფა იპოთეკის, გირაოს ან თავდებობის სახით.

4.1.4. ცალმხრივად შეაჩეროს /გააუქმოს ოვერდრაფტი და კლიენტისაგან მოითხოვოს ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან, საკომისიოსთან და პირგასამტეხლოსთან ერთად, თუ:

4.1.4.1. კლიენტი დაარღვევს წინამდებარე პირობებს.

4.1.4.2. გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა ან ბანკს მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე.

4.1.4.3. კლიენტი აღარ იღებს კუთვნილ შრომით თუ სხვა პერიოდულ ანაზღაურებას ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.

4.1.4.4. კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისკენ.

4.1.4.5. კლიენტი არ მოახდენს ოვერდრაფტის უზრუნველყოფას, ბანკის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.

4.1.5. გააუქმოს ოვერდრაფტი, თუ კლიენტმა 6 თვის განმავლობაში არ ისარგებლა დაშვებული ლიმიტით.

4.1.6. პირველივე ვადაგადაცილებისას განახორციელოს ბარათის (ძირითადი, დამატებითი) ბლოკირება.

4.1.7. უარი განაცხადოს ოვერდრაფტის ლიმიტის გაზრდის შესახებ კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან დააკმაყოფილოს მოთხოვნილზე ნაკლები ოდენობით ლიმიტი.

4.2. კლიენტისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს დაკისრება/გადახდევინება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს სრულად ან ნაწილობრივ დაკისრების შესახებ.

4.3. კლიენტი უფლებამოსილია:

4.3.1 მიმართოს ბანკს თხოვნით ოვერდრაფტის ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.

4.3.2 წარადგინოს ბანკის საცალო ბიზნესის განვითარების სამმართველოში პრეტენზიები თავსართში მითითებული ფორმებით.

4.4. კლიენტი ვალდებულია:

4.4.1 ოვერდრაფტის მოქმედების ვადის განმავლობაში განახორციელოს ყოველთვიური სავალდებულო მინიმალური გადასახადის გადახდა.

4.4.2 კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. კლიენტი ანიჭებს ბანკს უპირობო უფლებას მასზედ, რომ პერიოდულად მიიღოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.

5.2. წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისაგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს ასევე სხვა მესამე პირებს.

5.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვითიბი ჯგუფის ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის.

5.4. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N 205 267 389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

5.5. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).